

**საქართველოს მთავრობის
დადგენილება
N 160 2009 წლის 10 სექტემბერი ქ. თბილისი**

**ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალების შექმნის მიზნით
სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამართვის
წესისა და საგრანტო პროექტების შეფასების
კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ**

მუხლი 1. ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების სფეროში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პერიოდული ელექტრონული ჟურნალების გამოცემის მატერიალური ხელშეწყობის, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არეალის გაფართოების, სამეცნიერო ჟურნალების ელექტრონული ვერსიების შექმნისა და ქართული სამეცნიერო ჟურნალების საერთაშორისო ხელმისაწვდომობის მიზნით, “მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის 5¹ მუხლის პირველი პუნქტის “ე” ქვეპუნქტისა და “ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის 13¹ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად დამტკიცდეს:

1. “ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალების შექმნის მიზნით სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამართვის წესი” (დანართი N1).
2. საგრანტო პროექტების შეფასების კრიტერიუმები” (დანართი N2).

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ნიკა გილაური

დანართი N1

**ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალების შექმნის
მიზნით სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო
კონკურსის გამართვის წესი**

მუხლი 1. სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის მიზანი
სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის (შემდგომში – კონკურსი) მიზანია, ხელი შეუწყოს ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არეალის გაფართოებას, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პერიოდული ჟურნალების ელექტრონული, ინტერნეტში განსათავსებელი ვერსიის შექმნას, ამ ჟურნალების გამოცემის მატერიალურ ხელშეწყობას და მათ საერთაშორისო ხელმისაწვდომობას.

მუხლი 2. სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის გაცემის უზრუნველყოფა

1. ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალების (შემდგომში – ჟურნალი) შექმნის მიზნით სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების (შემდგომში – გრანტი) გაცემის ორგანიზებას ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების სფეროში ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომში – რუსთაველის ფონდი). (6.10.2015 N 511)

2. კონკურსი ცხადდება რუსთაველის ფონდის დირექტორის (შემდგომში – დირექტორი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და საქართველოში რეგისტრირებულ კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს.

3. ამოღებულია (6.10.2015 N 511)

4. დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ადგენს კონკურსის გამართვისა და ჟურნალების შექმნის მიზნით საგრანტო განაცხადის მიღების ვადებს.

5. რუსთაველის ფონდი შეიმუშავებს და დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს:

ა) საგრანტო განაცხადის ფორმასა და წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას;

ბ) საგრანტო პროექტის (შემდგომში – პროექტი) შესრულების შუალედური და საბოლოო ანგარიშის ფორმებს.

6. რუსთაველის ფონდი უზრუნველყოფს:

ა) კონკურსის საჯაროდ გამოცხადებას;

ბ) საკონკურსო კომისიის (შემდგომში – კომისია) შექმნას, რომელიც ამ დადგენილების N2 დანართით განსაზღვრული საგრანტო პროექტების შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად შეაფასებს წარდგენილ პროექტებს;

გ) საკონკურსო კომისიის მიერ პროექტების შეფასების საფუძველზე გამარჯვებული პროექტის გამოვლენასა და რუსთაველის ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებას; (6.10.2015 N 511)

დ) გამარჯვებული პროექტის დაფინანსებას და პროექტის მიმდინარეობის შემდგომ კონტროლს ამ წესის შესაბამისად.

მუხლი 3. კონკურსის პირობები

1. ჟურნალი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) ჟურნალი უნდა იყოს ბილინგვური (ქართულ-ინგლისური), ან მულტილინგვური (ქართული და ორი ან მეტი უცხო ენა). ჟურნალში სტატიების უცხოენოვანი ვერსია უნდა იყოს ქართული დედნის ზუსტი თარგმანი;

ბ) ჟურნალში განსათავსებლად წარდგენილ ნაშრომებს გავლილი უნდა

ჰქონდეს ფარული რეცენზირება არანაკლებ ორ ექსპერტთან, რომელთაგან ერთი აუცილებლად უნდა იყოს უცხოელი;

გ) ყველა სტატიას წინ უნდა უძღვოდეს სათაური, რეზიუმე (მაქსიმუმ 1 000 სიტყვა) და საკვანძო სიტყვები. ყველა სტატიას ბოლოში უნდა ერთვოდეს ბიბლიოგრაფია. ჟურნალში (ან ჟურნალის ბოლოს) მოცემული უნდა იყოს მოკლე ინფორმაცია თითოეული სტატიის ავტორის შესახებ (250 სიტყვამდე);

დ) ჟურნალის ერთი ნომერი უნდა შედგებოდეს არანაკლებ 10 სტატიისაგან;

ე) სტატიებს უნდა ჰქონდეს ერთიანი ციტირების სტილი;

ვ) ჟურნალს უნდა ჰყავდეს სარედაქციო კოლეგია, რომლის შემადგენლობის არანაკლებ 1/2 უნდა იყოს უცხოელი;

ზ) სამეცნიერო ჟურნალი უნდა გამოდიოდეს წელიწადში არანაკლებ ორჯერ.

2. სავალდებულოა ჟურნალის ინტერნეტში, ელექტრონულ ბაზაში განთავსება.

მუხლი 4. საგრანტო განაცხადის წარდგენა

1. კონკურსში მონაწილეობისათვის დაინტერესებულმა პირმა უნდა წარადგინოს:

ა) შევსებული განაცხადის ფორმა;

ბ) ჟურნალის კონცეფცია, რომელიც უნდა მოიცავდეს დეტალურ ინფორმაციას შემდეგი პუნქტების შესახებ:

ბ.ა) რას ემსახურება ჟურნალი, რომელი დარგებია მასში წარმოდგენილი;

ბ.ბ) რამდენად გამართლებულია საქართველოში მისი გამოცემა;

ბ.გ) გამოცემის პერიოდულობა;

ბ.დ) სახელწოდების მიზანშეწონილობა;

ბ.ე) სტატიებისა და რეზიუმეების ენა;

ბ.ვ) ავტორთა სავარაუდო წრე ქვეყნების/სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით;

ბ.ზ) ამ წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული, შესაბამისი იურიდიული პირის მმართველი სტრუქტურების ფორმირების პრინციპები;

ბ.თ) ჟურნალში განთავსებული ნაშრომის რეცენზირების პრინციპები;

ბ.ი) რუბრიკების არსებობის შემთხვევაში თითოეულის მოკლე დახასიათება.

2. თუ ჟურნალი გამოდის ამ დადგენილების ამოქმედებამდე, კონკურსში მონაწილეობისათვის დაინტერესებულმა პირმა ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ ინფორმაციასთან ერთად უნდა წარადგინოს:

ა) ჟურნალის ბოლო 3 ნომერი;

ბ) ჟურნალის ყოველწლიური ხარჯთაღრიცხვა.

მუხლი 5. საკონკურსო კომისია

1. კონკურსში გამარჯვებული პროექტის/პროექტების გამოსავლენად იქმნება 9 წევრისაგან შემდგარი კომისია, რომლის შემადგენლობას ამტკიცებს რუსთაველის ფონდის გენერალური დირექტორი. (6.10.2015 N 511)

2. კომისია საკუთარი შემადგენლობიდან ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს. (6.10.2015 N 511)

3. კომისიის სხდომის მოწვევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს რუსთაველის ფონდის გენერალური დირექტორი. (6.10.2015 N 511)

4. კომისიის სხდომებს ესწრებიან მხოლოდ კომისიის წევრები.

5. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება 6 წევრი მაინც. გადაწყვეტილება მიიღება კომისიის დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

6. კომისიის სხდომებს უძღვება კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – თავმჯდომარის მოადგილე.

7. კომისიამ, საჭიროების შემთხვევაში, კონკრეტულ საკითხზე საექსპერტო დასკვნის მისაცემად შეიძლება მოიწვიოს ექსპერტი.

მუხლი 6. გამარჯვებული პროექტის/პროექტების გამოვლენა

გამარჯვებული პროექტის/პროექტების გამოვლენის მიზნით კომისია:

ა) პროექტების წინასწარი შერჩევის გზით გამოავლენს იმ პროექტებს, რომლებიც არ შეესაბამებიან ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და იღებს გადაწყვეტილებას მათი კონკურსიდან მოხსნის თაობაზე;

ბ) განიხილავს ამ მუხლის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული შერჩევის შედეგად კონკურსში დარჩენილ პროექტებს და ამ დადგენილების N2 დანართით განსაზღვრული საგრანტო პროექტების შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად ახდენს მათ შეფასებასა და შერჩევას.

მუხლი 7. დაფინანსება

1. გამარჯვებული პროექტის/პროექტების დაფინანსების მოცულობას განსაზღვრავს რუსთაველის ფონდის გენერალური დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან რუსთაველის ფონდისათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში. გამარჯვებულ პროექტზე/პროექტებზე გასაცემი გრანტის საერთო ოდენობა ერთობლიობაში არ უნდა აღემატებოდეს 150 000 ლარს, ხოლო წელიწადში – 50 000 ლარს. (6.10.2015 N 511)

2. პროექტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 36 თვეს.

3. პროექტის ფარგლებში ფინანსდება:

ა) ჟურნალის ნომრის მომზადება (სამეცნიერო სტატიების რეცენზირება, ინგლისურ (ან სხვა უცხო) ენაზე თარგმნა, ჟურნალის რედაქტირება);

ბ) ჟურნალის ელექტრონული ვერსიის შექმნა და ინტერნეტში განთავსება.

4. პროექტის ფარგლებში შესაძლებელია ჟურნალის ნაბეჭდი ვერსიის შექმნასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება (სასტამბო ხარჯი).

5. გრანტი გამარჯვებულს გადაერიცხება ეტაპობრივად. აღნიშნული გადარიცხვების ვადები და მოცულობა განისაზღვრება გამარჯვებული პროექტის ავტორთან გაფორმებული ხელშეკრულებით.

მუხლი 8. ანგარიშგება, მონიტორინგი

1. რუსთაველის ფონდი გამარჯვებული პროექტის ავტორთან აფორმებს საგრანტო ხელშეკრულებას, რომლითაც განისაზღვრება მხარეთა უფლება-მოვალეობები.

2. გამარჯვებული პროექტის ავტორმა ყოველი კვარტალის ბოლოს რუსთაველის ფონდს უნდა წარუდგინოს შუალედური ანგარიში პროექტის შესრულების თაობაზე, რომელიც შედგება პროგრამული და ფინანსური ნაწილები-საგან.

3. რუსთაველის ფონდის მოთხოვნის შემთხვევაში პროექტის ხელმძღვანელი ვალდებულია წარადგინოს პროექტთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა სახის დოკუმენტი.

4. რუსთაველის ფონდი ამოწმებს შუალედურ ანგარიშებს და ადგენს შესაბამის აქტს. ხარვეზების არარსებობის შემთხვევაში, ამ აქტის საფუძველზე, რუსთაველის ფონდი ახორციელებს შემდგომი პერიოდის თანხის გადარიცხვას. თუ შემოწმების დროს გამოვლინდა შეცდომები, რომელთა გამოსწორებაც შეიძლება, გამარჯვებული პროექტის ავტორს ეძლევა მათი გამოსწორების შესაძლებლობა. თუ გრანტის მიმღების მხრიდან ადგილი აქვს არაკეთილსინდისიერებას (ყალბი დოკუმენტების წარდგენა, გრანტის სახსრების არამიზნობრივი ხარჯვა და სხვ.), ეს გარემოება აღინიშნება აქტში და დაისმება პროექტის შემდგომი დაფინანსების შეწყვეტის საკითხი.

5. რუსთაველის ფონდი, საჭიროების შემთხვევაში, უფლებამოსილია პროექტის მონიტორინგი განახორციელოს გამარჯვებული პროექტის ავტორ ორგანიზაციაში.

6. პროექტის დასრულების შემდეგ, ერთი თვის განმავლობაში, რუსთაველის ფონდში წარდგენილი უნდა იყოს საბოლოო ანგარიში.

7. პროექტის დახურვა ხდება გამარჯვებული პროექტის ავტორის მიერ წარდგენილი საბოლოო ანგარიშის, აგრეთვე, მონიტორინგის შედეგების საბოლოო დასკვნის საფუძველზე.

8. გამარჯვებული პროექტის ავტორის მიერ წარდგენილი საბოლოო ანგარიშის პროგრამული ნაწილი (ტექსტური, აუდიო, ვიდეო, ფოტო მასალა) შესაძლებელია რუსთაველის ფონდმა განათავსოს თავის ვებ-გვერდზე, რუსთაველის ფონდის წლიურ ანგარიშში ან სხვა ბეჭდვით თუ ელექტრონულ გამოცემებში.

მუხლი 9. პროექტების შესრულების კონტროლი, პროექტის დაფინანსების შეჩერება და შეწყვეტა

1. რუსთაველის ფონდი ახორციელებს დაფინანსებული პროექტების კონტროლს, რომელიც მოიცავს პროექტის განხორციელების ფინანსურ და შინაარსობრივ მხარეებს.

2. პროექტის შესრულების თაობაზე ანგარიშის ფორმებს ადგენს რუსთაველის ფონდი.

3. გამარჯვებული პროექტის ავტორის მიერ საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში რუსთაველის

ფონდი უფლებამოსილია შეაჩეროს ან შეწყვიტოს პროექტის გრანტით დაფინანსება. დაფინანსების შეჩერების შემთხვევაში გადაწყვეტილებაში მიეთითება ის პირობები და ვადები, რომელთა შესრულებისთანავე შესაძლებელი იქნება დაფინანსების განახლება, ხოლო შეუსრულებლობის შემთხვევაში – დაფინანსების შეწყვეტა.

4. დაფინანსების შეწყვეტის შემთხვევაში პროექტის ფარგლებში შეძენილი ქონება საკუთრებაში გადაეცემა რუსთაველის ფონდს.

დამტკიცებულია
საქართველოს მთავრობის
2009 წლის 10 სექტემბრის
N 160 დადგენილებით

დანართი N2

საგრანტო პროექტების შეფასების კრიტერიუმები

	კრიტერიუმების დასახელება	შეფასება			კომენტარები
		ს უ ს ტი	საშუალო	კარგი	
1	საგრანტო პროექტის მიზანი და ამოცანები				
ა)	ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალის აქტუალურობა	0-6	7-11	12-15	
ბ)	ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალის მიზანი და ამოცანები	0-6	7-11	12-15	
2	ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალის ფორმირება				
ა)	სტატიების რევენზირების პრინციპები, სარედაქციო კოლეგია	0-7	8-13	14-18	
ბ)	ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალის ციტირების სტილი	0-5	6-9	10-12	
3	საგრანტო პროექტის შემსრულებელთა კომპეტენტურობა				
ა)	საგრანტო პროექტის ხელმძღვანელის კომპეტენტურობა პროექტის ეფექტიანად მართვისათვის	0-6	7-11	12-15	
ბ)	საგრანტო პროექტის ძირითადი შემსრულებლების შესაბამისობა საგრანტო	0-6	7-11	12-15	

	პროექტის მიზნისა და ამოცანების განხორციელებასთან				
4	საგრანტო პროექტის მართვა				
	საგრანტო პროექტის განხორციელებისათვის გამოყოფილი ადამიანური, ფინანსური და ტექნიკური რესურსების შესაბამისობა საგრანტო პროექტის განხორციელების პერიოდთან, მიზანსა და ამოცანებთან	0-4	5-7	8-10	
სულ		100			